პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской
ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 122 (2842) ● ოთხშაბათი, 23 ივნისი, 1965 წ. ● ფასი 2 კაპ.



◆ კიოლნი, 22 ივნისი. აქ სტარტი აიღო უდიდესმა საერთაშორისო ველორბოლამ — ცნობილმა ტურ დე ფრანსმა. გფრ-ის ამ ქალაქიდან 4177-კილომეტრიან გზას გაუყვა 130 პროფესიონალი ველოსიპედისტი. მათ შორის არიან სახელგანთქმული „ვარსკვლავები“ რიკ ვან ლოი (ბელგია), ჯანი მოტა (იტალია), რაიმონ პულიდორი (საფრანგეთი). ვერ ვხედავთ მხოლოდ ამ ტრადიციული შეჯიბრების ხუთგზის გამარჯვებულს — ფრანგ ჟაკ ანკეტილს. საფრანგეთის ფარგლებს გარეთ ტურ დე ფრანსი მხოლოდ მესამედ იღებს სტარტს (1954 წელს იგი დაიწყო ამსტერდამში, ხოლო 1955 წელს — ბრიუსელში). წლევანდელი რბოლის 22 ეტაპს ველოსიპედისტები გაივლიან გფრ-ის, ბელგიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და კვლავ საფრანგეთის გზებზე. ფინიში გაიმართება 14 ივლისს პარიზში. შეიძლება ითქვას, რომ პროფესიონალები „გამოეკიდნენ“ მოყვარულ ველოსიპედისტებს, რომლებმაც ორი დღით ადრე აქვე აიღეს თავიანთი რბოლის — ტურ დე ლ'ავენირის სტარტი. ამ შეჯიბრების მარშრუტიც ისეთივეა, მაგრამ იგი ტურ დე ფრანსზე სანახევროდ მცირეა. იგი დამთავრდება 3 ივლისს ბარსელონაში.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

„ბ“ ლიგა

გუშინ გაიმართა „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდების კალენდარული მატჩები, რომელთა შედეგები ტელეფონით გადმოგვცეს ჩვენმა კორესპონდენტებმა.

რუსთავი. ადგილობრივი „მეტალურგი“ შეხვდა მახაჩყალის „დინამოს“. მასპინძლებმა ამჯერად ძალიან მონდომებით ითამაშეს და იერიშთა დამამთავრებელ სტადიაში თავდამსხმელთა უზუსტობა რომ არა, გამარჯვებაც მათ დარჩებოდათ.

საერთოდ, მატჩი მძაფრი ორმხრივი იერიშებით აღინიშნა. 41-ე წუთზე მცველმა გალოიანმა („მეტალურგი“) ღრმა რეიდი განახორციელა და ძლიერად დაარტყა მეტოქეთა კარში. მეკარე კუროჩკინმა ვერ დაიმორჩილა ბურთი, რომელსაც მიუსწრო ხაბეიშვილმა და ანგარიში გახსნა — 1:0.

შესვენების შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. 79-ე წუთზე მახაჩყალელმა მუგადოვმა გაიტანა საპასუხო გოლი და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

სტავროპოლი. ტყიბულის „მეშახტემ“ მოუგო ადგილობრივ „დინამოს“ — 3:2.

გურჯაანი. ადგილობრივმა „ალაზანმა“ დაამარცხა ზონის ლიდერი — ბაქოს „დინამო“ — 2:0.

საქართველოს პროფკავშირთა IV საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულმა ასპარეზობამ აკრობატიკაში პირველი გამარჯვება მოუტანა „შრომით რეზერვებს“. ამ საზოგადოების წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა ნანი კილაძემ ხტომებში ყველას აჯობა და სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. კილაძე შეჯიბრების დროს.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

ახალი ამბები

● **ფეხბურთი.** 3 შეხვედრა ჩაატარეს ჩვენს ქვეყანაში საფრანგეთის კლუბის „ტულუზას“ ფეხბურთელებმა და სამივე ფრედ დაამთავრეს. ბოლო თამაში ფრანგებმა გამართეს ერევანში ადგილობრივ „არარატთან“. მატჩის შედეგია 1:1.

● **ველოსპორტი.** ტულის ტრეკზე დამთავრდა უნგრეთის, რუმინეთისა და რსფსრ-ს ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრება. პროგრამის უმეტეს სახეობაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

● **ჩოგბურთი.** ინგლისში დაიწყო უიმბლდონის ტურნირი. ეს ცნობილი ასპარეზობა გაიხსნა ვაჟთა ერთეულების შეხვედრებით. სსრ კავშირის ჩემპიონმა თ. ლეიუსმა პირველ წრეში დაამარცხა ფ. მაკმილანი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 6:1, 3:6, 6:3, 6:4.

● **ცხენოსნობა.** პოლონეთის ქალაქ ოლშტინში დაიწყო 9 ქვეყნის ცხენოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში. ამ საინტერესო ასპარეზობის პროგრამაშია 11 სახეობა. პირველ დღეს წარმატება ხვდა წილად საბჭოთა მხედარს ი. სოსკოვს, რომელმაც მოიგო ე. წ. „სიზუსტის კონკური“ და მასთან ერთად — ოლშტინის პრიზიც.

● **ჭადრაკი.** 20 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე ზინიცაში (გდრ) განზრახულია დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის გამართვა, რომელშიც 16 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. ტურნირში სათამაშოდ მიწვეულია 7 დიდოსტატი: ორ-ორი სსრ კავშირიდან და იუგოსლავიიდან, თითო — ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და უნგრეთიდან. ასპარეზობაში ჩაებმებიან აგრეთვე საერთაშორისო ოსტატები პოლონეთიდან და რუმინეთიდან. მასპინძლები 7 მოჭადრაკით იქნებიან წარმოდგენილი (დიდოსტატი ულმანი, საერთაშორისო ოსტატი მალიხი და სხვ.).

ლენინგრადელ მოშაშეთა წარმატება

მოსკოვში 11 დღე გაგრძელდა ჩვენი ქვეყნის VII გუნდური ჩემპიონატი რუსულ და საერთაშორისო შაშში. როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, წარმატება წილად ხვდათ ლენინგრადელ სპორტსმენებს, რომლებმაც ფინალში მეხუთე გამარჯვება იზეიმეს (ამჯერად ესტონეთის გუნდთან) და I ადგილთან ერთად მოიპოვეს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრიზი. II ადგილზეა წინა ჩემპიონატებში სამგზის გამარჯვებული მოსკოვის გუნდი. III საპრიზო ადგილზე დარჩნენ უკრაინელი მოშაშეები. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: ლატვია, რსფსრ, ესტონეთი.

მეორე ფინალურ ჯგუფში, სადაც გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ VII—XII ადგილებისთვის, გაიმარჯვა ბელორუსიის კოლექტივმა.

მესამე ფინალურ ჯგუფში (XIII—XVII ადგილებისთვის) ყველას აჯობეს საქართველოს წარმომადგენლებმა — 22,5 ქულა. გამარჯვებულებს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ სომხეთის მოშაშეები, III ადგილი დაიკავა ყირგიზეთის გუნდმა.

როგორც ვიუწყებოდით, მოსკოველი სოფიო მურატოვა სარბიელზე პირველად 1946 წელს გამოვიდა და 18 წლის განმავლობაში უტევდა დიდების მწვერვალებს. იგი სპორტის დამსახურებული ოსტატია, ორი ოლიმპიური ასპარეზობისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი; ჩვენი ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონი და სსრ კავშირის თასის ორგზის მფლობელი. ლენინგრადში 64 საუკეთესო ტანმოვარჯიშე ქალთა შორის, რომლებიც ამას წინათ სსრ კავშირის თასისთვის ბრძოლაში ჩაებნენ, ასპარეზზე კვლავ გამოვიდა 35 წლის ს. მურატოვა, რათა მესამეჯერ დაპატრონებოდა ბროლის ნადავლს. იგი ამჯერად ადვილად, უბრძოლველად ხვდა წილად ვეტერანს, რადგან სსრ კავშირის ტანვარჯიშის ფედერაციამ სამუდამოდ გადასცა თასი სოფიო მურატოვას მისი დიდი დამსახურებების აღსანიშნავად.

ს უ რ ა თ ზ ე: სპორტის დამსახურებული ოსტატი სოფიო მურატოვა იმ თასით ხელში, რომელიც მას სამუდამოდ გადაეცა.

ფოტო ნ. ნაუმენკოვისა (საკდვსი).

25-30 ივნისი

თბილისის სპორტის სასახლე

ფრენბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი

მონაწილეობენ: მსოფლიოსა და XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი — იაპონიის ნაკრები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის ეროვნული გუნდები, აგრეთვე სსრ კავშირის I და II ნაკრები კოლექტივები.

დასაწყისი 25-ში, 29-ში, 30-ში — 17 ს., 26-სა და 27-ში — 16 ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ც. სარჯველაძის ორი გამარჯვება

ტყვიით სროლაში შეჯამდა ერთკვირიანი ასპარეზობის შედეგები. სამწუხაროდ, მონაწილეთაგან ვერავინ მიაღწია ოსტატის მაჩვენებელს. რესპუბლიკურ რეკორდებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. და მაინც, ტურნირში იყო ზოგიერთი რამ, რაზეც ღირს ყურადღების შეჩერება. კერძოდ, გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის მეტად დაძაბული ბრძოლა გაიმართა „განთიადისა" და „ბურევესტნიკის" კოლექტივთა შორის.

მართალია, „განთიადმა" 17 საპრიზო ადგილი მოიპოვა („ბურევესტნიკმა" — 10), მაგრამ საერთო გუნდური პირველობა მაინც სტუდენტებს დარჩათ, ვინაიდან მათ გაცილებით მეტ ვარჯიშში მიიღეს ჩათვლა.

სტუდენტთა გუნდიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა ასპარეზობის მონაწილე ც. სარჯველაძე. ამ გოგონამ მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლის ორ ვარჯიშში სცადა ძალები და ორჯერვე გამარჯვებულმა დატოვა ცეცხლის ხაზი. სტანდარტზე (3X20) სროლაში მან 13 ქულით აჯობა II პრიზიორს, განთიადელ ვ. პანაჩევას, წოლელა 60 გასროლაში კი თანაგუნდელ ლ. ბებიაშვილს 3 ქულით მოუგო.

ვაჟებში კარგად გამოვიდნენ შ. გუჯარელიძე („ბურევესტნიკი"), ვ. კრასნოპოლსკი („განთიადი"), ა. შამეკო („ბურევესტნიკი"), ი. ციციშვილი („განთიადი"), ო. კვირიკაშვილი („ბურევესტნიკი"), ა. ლომთაძე („ბურევესტნიკი"), ხ. ჩიტაძე („სპარტაკი"), რომლებმაც I თანრიგს გადააჭარბეს.

აი, სპარტაკიადის ჩემპიონები: ქალები. მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე სროლა და წოლელა 60 გასროლა — ც. სარჯველაძე („ბურევესტნიკი") — 521 და 572 ქულა; მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეზე (30 გასროლა) და მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე (30+30) სროლა — ო. ნოვოსელცოვა („განთიადი") — 250 და 547 ქულა; მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ხუთ სილუეტზე სროლა — რ. პროზოროვა („განთიადი") — 262 ქულა. ვაჟები. არმიული შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა — ვ. კრასნოპოლსკი („განთიადი")—487; მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლა—ა. შამეკო („ბურევესტნიკი") — 1074; მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 60 გასროლა—კრასნოპოლსკი — 578; „შველზე" სროლა — ვ. კოხრეიძე („განთიადი") — 256, ნებისმიერი შაშხანით „გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი გასროლა — ი. ციციშვილი („განთიადი") — 198; „გაქცეულ ირემზე" 25 ორმაგი გასროლა — ვ. კოხრეიძე — 178; „გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი და 25 ორმაგი გასროლა — ი. ციციშვილი — 361; ნებისმიერი შაშხანით სამი მდგომარეობით (3×20) სროლა — ა. ლომთაძე („ბურევესტნიკი") — 536; მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ - სამიზნეებზე სროლა — ო. კვირიკაშვილი („ბურევესტნიკი") — 532; მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 5 სილუეტზე სროლა — ხ. ჩიტაძე („სპარტაკი") — 283; მსხვილკალიბრიანი რევოლვერ-პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა — შ. გუჯარელიძე („ბურევესტნიკი") — 572.

* * *

სურათზე: ც. სარჯველაძე.
ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

სარბიელზეა ნესტორ ესებუას შვილიშვილი

თბილისში სამ დღეს გრძელდებოდა ტექნიკუმების რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ხალიჩაზე გამოვიდა 10 გუნდის 76 წარმომადგენელი.

სპორტის მოყვარულებში ქართული ჭიდაობა მეტად დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ პერიფერიებიდან ჩამოსული გუნდები მოუმზადებელი აღმოჩნდნენ.

ორი წლის იძულებითი „შესვენების" შემდეგ ხალიჩაზე კვლავ ვიხილეთ დ. ესებუა, რომელმაც ყველა შეხვედრა კარგად ჩაატარა და საერთო მოწონება დაიმსახურა. მისი ორთაბრძოლა მახარაძელ თ. მანაგაძესთან მხოლოდ 7 წამს გაგრძელდა. ეჭვი არაა, რომ სახელოვანი ქართველი ფალავნის ნესტორ ესებუას შვილიშვილი ტრავმის შემდეგ კვლავ აღიდგენს საბრძოლო ფორმას და ახალ-ახალი წარმატებებით გაგვახარებს.

გუნდური პირველობა მოიგეს თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოჭიდავეებმა. II ადგილზე გამოვიდნენ ჩვენი დედაქალაქის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის წარმომადგენლები. III ადგილიც თბილისელებს ერგოთ — მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის მოჭიდავეებს.

პირად პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. ხვედელიძემ (თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი), რ. ქაშიაშვილმა (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი), ა. მეტრეველმა (ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმი), გ. ღონღაძემ, შ. ქართველიშვილმა (ორივენი—ქუთაისის სატყეო ტექნიკუმიდან), დ. ესებუამ (თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი), შ. გორგაძემ (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი), ზ. სამხარაძემ (ქუთაისის სამთო ტექნიკუმი).

ფ. კვირიკაშვილი.

დამთავრდა სპეციალურ საშუალო სასწავლებელთა რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, ქართულ ჭიდაობასა და სპორტის სხვა სახეობებში.

სურათზე: სპორტულ ტანვარჯიშში გამარჯვებული ნ. ჩანტლაძე ორძელზე ვარჯიშისას.

ფოტო გ. გოგნიაშვილისა.

ცხენოსნობა

საქართველოს პირველობაზე

ცისარტყელა არ ჩანს

საქართველოს ცხენოსანთა გუშინწინ დამთავრებული პირად-გუნდური პირველობის ანგარიში შარშანდელი ჩემპიონატის შედეგებისადმი მიძღვნილი წერილიდან მოტანილი ციტატით გვსურდა დაგვეწყო. ამით არაფერი შეიცვლებოდა: ბოლო 5 წლის განმავლობაში გამართული შეჯიბრებები ტყუპის ცალებივით გვანან ერთმანეთს — ერთი და იგივე გამარჯვებულნი, თითქმის ერთი და იგივე პრიზიორები, გუნდების რაოდენობაც მყარი (უფრო ხშირად 4)...

მრავალი ასეთი მსგავსი მომენტის დასახელება შეიძლებოდა, რომლებიც ცხენოსნური სპორტის გულშემატკივრებს პირდაპირ გულს წყვეტს.

ჩვენ როგორღაც გვერდს ავუვლიდით ყოველივე ზემოთქმულს, რომ რაღაც ნათელი პერსპექტივები ჩანდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, დრო სწრაფად გარბის და ცისარტყელა კი არა და არ ჩანს.

ცხენოსნური სპორტის ვეტერანებს რომ ჰკითხოთ: როდის იყო ის ნეტარი დრო, როცა ქართველი მხედრები საკავშირო სარბიელზე ღირსეულ მეტოქეობას უწევდნენ სხვა რესპუბლიკათა წარმომადგენლებს და ხშირად ჯაბნიდნენ კიდეცო? — გაუჭირდებათ ამის მოგონება.

ჩვენ ვერ დაგვამშვიდებს ის გარემოება, რომ თითო-ოროლა მართლაც შესანიშნავი მხედარი ამჟამადაც გვყავს, ვინაიდან, ქართული ანდაზისა არ იყოს, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს.

სწორად რომ გაგვიგონ, ზემოთქმულს უნდა დავუმატოთ, რომ ვეტერანები, რომლებიც ამ შეჯიბრებაშიც შეუდარებელი იყვნენ, ნამდვილად ქების ღირსნი არიან. და ჩვენ ვისურვებდით, რომ ისინი კვლავაც დაჯირითობდნენ სარბიელზე და ახალგაზრდა თაობას სპორტული უბერებლობის საუცხოო მაგალითს აძლევდნენ.

მაგრამ ხომ უნდა ვიფიქროთ მათს შემცვლელებზეც, რომლებმაც კიდევ უფრო მაღლა უნდა აზიდონ რესპუბლიკის სპორტული დიდების დროშა?! უმათოდ დიდ სპორტულ მიღწევებსა და მასობრიობაზე ლაპარაკი ტყუილი წყლის ნაყვაა.

ა. მხეიძე.

* * *

რესპუბლიკის **ჩემპიონები** გახდნენ: სამჭედში — უფროსი ასაკის ცხენებით შეჯიბრებაში — გულრიფშელი **დ. ხოფერია**, უმცროსი ასაკის ცხენებით ასპარეზობაში — თბილისელი **კ. გაზიბაიაზოვი**; ცხენის გაწვრთნაში „მცირე" და „საშუალო" პრიზებს დაეუფლა ზუგდიდელი **ა. კულიკოვი**, „დიდ პრიზს" — **მ. ერისთავი** (თბილისი); დაბრკოლებათა გადალახვაში უძლიერესნი იყვნენ: „სიმძლავრეზე ხტომაში" **ა. დოლუენკო** (გულრიფში), „ამორჩევით" — **დ. ხოფერია**, „6 გადალახვაში" — **შ. გულორდავა** (ზუგდიდი), „საქართველოს თასზე" — **ა. შონია** (ზუგდიდი).

გუნდურ პირველობაში მონაწილეობდა 5 კოლექტივი: თბილისი, ზუგდიდი, გულრიფში, გალი, ფოთი. ადგილებიც ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა.

ექვსის ნაცვლად... 4 პრიზიორი

ДОСААФ СССР
საქართველოს
III
სპარტაკიადა

მაღალი შედეგებით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიან რადიოგრამების მიღება-გადაცემაში მოასპარეზენი. ტურნირში მონაწილე 17 სპორტსმენიდან (გუნდები გამოიყვანეს თბილისმა, აჭარამ და ქუთაისმა) მხოლოდ ერთმა — ხელით მომუშავეთა შორის გამარჯვებულმა მ. სადუკოვმა (თბილისი) შეძლო ოსტატობის კანდიდატის ნორმის შესრულება. მან 3 წუთში 450 ასო-ნიშანი და 320 ციფრი-ნიშანი გადასცა. არც მიღებაში უმუშავნია ცუდად. 1 წუთში 150 ნიშანი (ასო) მიიღო და მხოლოდ ერთი ასო გამორჩა, 180 მიღებული ციფრიდან კი 2 გამოტოვა. **მანვე გააუმჯობესა საქართველოს რეკორდი 1 წუთში გადაცემული ციფრების რაოდენობაში—106,67.**

ამ ვარჯიშში II და III ადგილები შესაბამისად დაისაკუთრეს ა. გიორგაძემ (ქუთაისი) და ვ. გონჩარენკომ (აჭარა), მაგრამ მათი ტექნიკა საგრძნობლად მოიკოჭლებდა და ნაშრომში წუნიც საკმაოდ ჰქონდათ.

ვერაფრით გაგვახარეს საბეჭდ მანქანაზე მომუშავეებმა. აქ გამარჯვებულმა თბილისელმა ზ. ბუდნიკმა ასოთა ვერც ერთი ნიშანი ვერ მიიღო. რაც შეეხება ციფრნიშნებს, წუთში მან 120-ის მიღება მოახერხა. სამაგიეროდ, გადაცემაში გამოასწორა მდგომარეობა — 3 წუთში 367 ასო და 243 ციფრი გადასცა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს თბილისელებმა. აჭარის წარმომადგენლები II ადგილზე გავიდნენ, ქუთაისისა — მესამეზე.

ტურნირმა ცხადყო, რომ დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის რადიოსპორტული კლუბის გარდა ამ სახეობას სათანადო ყურადღება არსად არ ეთმობა. და აი, სავალალო შედეგებიც. 17 მონაწილე ორ ვარჯიშში მხოლოდ 4 პრიზიორი — სამარცხვინო ფაქტია.

ო. ივდოშვილი.

როდის შეიტანენ წვლილს?..



კრივის საქმე ჩვენს რესპუბლიკაში ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. პირდაპირ სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ ჩვენი ახლანდელი საერთო მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამორჩება 10-15 წლის წინანდელ დონეს.

თუმცა ისიც უდავოა, რომ დაუღალავი წვრთნისა და ძიების შემდეგ საქართველოს მოკრივეებს ძალუძთ კვლავ ღირსეულად წარმოადგინონ „ქართული რინგი" საკავშირო სარბიელზე.

მაგრამ ამისათვის საკმარისი როდია მხოლოდ თბილისში არსებული სექციების მუშაობა. საჭიროა ამ მნიშვნელოვან საქმეს მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნონ ისეთი ქალაქები, როგორიცაა ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, ფოთი...

ვინ მოთვლის, რამდენი შესანიშნავი სპორტსმენი აღუზრდიათ აღნიშნულ ქალაქებში მომუშავე მწვრთნელებს, კრივის ნამდვილ ენთუზიასტებს! მოწაფეები წლების მანძილზე ვაჟკაცურად იცავდნენ ჩვენი რესპუბლიკის სახელს როგორც შინ, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

დღეს კი...

პირდაპირ გაკვირვებას იწვევს გორის სპორტკავშირის (თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი) პასიურობა კრივის მიმართ. სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით გორში ბევრჯერ ჩატარებულა მნიშვნელოვანი შეჯიბრება. საფიქრებელი იყო, რომ სპორტის იქაური მესვეურები ამის შემდეგ მაინც მიაქცევდნენ ყურადღებას კრივს, მაგრამ... ეს სახეობა დღესაც უყურადღებოდაა მიტოვებული.

1949-1951 წლებში ზესტაფონში კრივმა ერთგვარი პოპულარობა მოიპოვა. სექციებში სისტემატურ წვრთნას 60-მდე კაცი გადიოდა. ამ პერიოდში ზესტაფონელებმა მონაწილეობა მიიღეს რაიონულ და რესპუბლიკურ პირველობებში და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვეს. და აი, იმის ნაცვლად, რომ კრივისთვის მეტი გასაქანი მიეცათ, ეზრუნათ ნიჭიერი ახალგაზრდების გამოსავლენად და აღსაზრდელად, რაიონის სპორტულმა ხელმძღვანელებმა კრივი... საერთოდ მოსპეს.

ზესტაფონში არიან სპეციალისტები, რომელთაც შესწევთ უნარი კვლავ ააღორძინონ კრივი თუნდაც საზოგადოებრივ საწყისებზე და იმედი გვაქვს, რომ ზესტაფონის სპორტკავშირის ახლანდელი თავმჯდომარე კ. ბაზაძე საქმეს ფხიზელი თვალით შეხედავს.

ასევე უმოქმედოდ არიან მიტოვებული ხაშურის (თავმჯდომარე კ. ხვედელიანი), სამტრედიის (თავმჯდომარე გ. მურღულია), მახარაძის (თავმჯდომარე ო. კიშინსკი), ცხინვალის (თავმჯდომარე ა. თედეევი) და სხვა ქალაქების მოკრივეები.

სწორედ ამ უპასუხისმგებლობის შედეგია, რომ საქართველოს სტუდენტთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ასპარეზობაში წელს მხოლოდ 2 გუნდი მონაწილეობდა (უნივერსიტეტი და ფიზკულტურის ინსტიტუტი). სამწუხაროდ, ვერც მათ გამოავლინეს მაღალი ოსტატობა. უფრო მეტიც, მთლიანი გუნდი ვერც ერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა ვერ გამოიყვანა. შეჯიბრებაში საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, ცხინვალისა და სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენებს.

ხომ არ ავიწყდებათ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს, რომ საბჭოთა მოკრივეებმა ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის ჩვენს ყულაბაში ერთ-ერთი მთავარი „შესატანი" შეიტანეს? ან, განა თვალწინ არ უნდა გვედგას ევროპის უკანასკნელი ჩემპიონატის შედეგები? რატომ არ უნდა შეჰქონდეთ ამ დიდ გამარჯვებებში თავიანთი წვლილი საქართველოს მოკრივეებს?

ე. ქელბაქიანი,
თბილისის კრივის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების საოცრება

შავი ზღვისპირის მთიანეთში!



ანაკოპიის გამოქვაბულთა სიმდიდრე

სპელეოლოგებმა ეს უფსკრული თითქმის შემთხვევით იპოვნეს, თუმცა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დიდი ხანია იცოდნენ მისი არსებობა. გამოქვაბულში შესასვლელი, რომელიც „უძირო ორმოდ“ მონათლეს, ხევში იმალებოდა და ხშირი ბუჩქნარით იყო დაფარული. სწორედ ამიტომ არ იპყრობდა იგი განსაკუთრებულ ყურადღებას. ზაფხულობით, მოსაღამოებისას, უძირო ორმოს გარშემო ღამურები ირეოდნენ. ამ სრულიად უწყინარ და უცნაურ არსებებს დაუმსახურებლად აქვთ ხალხში ცუდი სახელი. და, მაინც, სწორედ ღამურები აფრთხობდნენ ყველაზე მეტად ადამიანებს უძირო ორმოსაგან.

ანაკოპიის უფსკრული ბოლო დრომდე უცნობი რჩებოდა იმის მიუხედავად, რომ იგი შავი ზღვის სანაპიროს ყველაზე უფრო ცხოველ ადგილზე მდებარეობს — ახალი ათონის ცნობილი მონასტრიდან რაღაც ნახევარიოდე საათის სავალზე.

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა გამოქვაბულის ასეთნაირი იდუმალი არსებობა, რომ საქმეში არ ჩარეულიყო ძველთაძველი ბავშვური ცნობისმოყვარეობა. 15 წლის ათონელმა გივი სმირმა, რომელსაც თავგადასავალი სწყუროდა, გადაწყვიტა გამოეკვლია იდუმალებით მოცული უძირო ორმო. მან შინიდან სარეცხის თოკი და სანათური წაიღო და უფსკრულის დასაპყრობად გაემგზავრა. გივიმ მხოლოდ 20 მეტრზე შეძლო ჩაღწევა, შემდეგ კი აღარ ეყო არც თოკი და არც გამბედაობა. გაპოსათხოვებლად ჩაგდებული ალმოკიდებული ქაღალდი ისე დაიფერფლა გზაში, რომ ფსკერამდე არც მიუღწევია.

ათონში ამ დროს სპელეოლოგები იმყოფებოდნენ. გივიმ შეატყობინა მათ თავის აღმოჩენის ამბავი და მალე ანაკოპიის უფსკრულში პირველად ჩაეშვნენ ადამიანები. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ ტინტილოზოვი. მის მიერ ანაკოპიის უფსკრულის მეცნიერულმა აღწერამ ნამდვილი სენსაცია გამოიწვია: ქართველმა სპელეოლოგებმა აღმოაჩინეს ექსტრაკლასის გამოქვაბული, რომელიც სილამაზით არ ჩამოუვარდება ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთისა და ამერიკის დასავლეთის სახელგანთქმულ გამოქვაბულებს.

პირველ ექსპედიციას კიდევ რამდენიმე მოჰყვა. ერთ-ერთ უკანასკნელში კი მონაწილეობა მიიღო ამ სტრიქონების ავტორმაც.

ჩაშვება

უძირო ორმო სრულიად შვეული, სიღრმეში წასული შავი ჭაა — თავისებური ხვრელი მიწაში. მე ამ ჭის ნაპირზე ვდგავარ და ზურაბ ტინტილოზოვის უკანასკნელ რჩევა-დარიგებას ვისმენ. მაცვია თბილი სვიტერი, საიერიშო ტანსაცმელი და აბალაკოვის სარტყელი მაზუვეია, რომელიც ასე ნაცნობია ჩემთვის ალპინისტური ლაშქრობებიდან. ტყუილად კი არ ხუმრობენ სპორტსმენები, რომ სპელეოლოგია ესაა ალპინიზმი პირუკუ, რომ ალპინისტები ღმერთისკენ მიცოცავენ, ხოლო სპელეოლოგები ეშმაკთან ეშვებიან. მაგრამ როგორც ერთნი, ისე მეორენი აუცილებლად სარგებლობენ თოკით.

თოკი გაყრილია ფოლადის კარაბინში და მიმაგრებულია სარტყელზე. მარცხენა ხელით ვუშვებ თოკს, მარჯვენათი კი სისწრაფეს ვაწესრიგებ. ამ ხერხს ალპინისტები „სახანძროს“ უწოდებენ, ხან კი „დიულფერს“.

ტანი მართკუთხედადაა მოხრილი, თითქოს იატაკზე ვზივარ და ფეხები დაშვერილი მაქვს. ფეხები მაკრატლისებურადაა გაშლილი, რაც შეიძლება ფართოდ. „ჭის“ კედლებთან ფეხებით ვირეკნები და ნელ-ნელა ჩავდივარ ქვევით, უფსკრულში. ჩემს ქვეშ სქელი, მელნისებური წყვდიადია. საკმაოდ უსიამოვნო განცდაა ამ წყვდიადში ფრენა. თითქოს მართლაც ეშმაკთან მიდიხარ სტუმრად. მთებში სულ სხვაა. ყოველ შემთხვევაში, ხედავ რა, ან ვინ არის შენს ზემოთ. თავს მაღლა ვწევ. ლურჯი ცა აქედან თვალის მომჭრელად თეთრი ჩანს. იგი ვიწროვდება, სწრაფად მცირდება და აი, უკვე მხოლოდ გაურკვეველი ბინდბუნდი ციმციმებს სადღაც, ძალიან, ძალიან შორს. ჩემი გაანგარიშებით კი სულ რაღაც 20 მეტრზე თუ დავეშვი.

რაღაც მკვრივზე ისე დავეშვი, რომ ფეხები მეტკინა. ეს პირველი საშუალედო პუნქტია. უძირო ორმო მხოლოდ პირველი შეხედვით მოგეჩვენებათ ჭად. სინამდვილეში იგი თავისი აგებულებით უფრო საკვამლე მილს ჰგავს. ოღონდ ამ „საკვამურის“ ყოველი მუხლი 30-40 მეტრზე გრძელდება. ვცვლი თოკს და ისევ ქვევით მივექანები. ნათურა, რომელიც კასკაზეა მიმაგრებული, კედლებზე სინათლის ყვითელ ლაქას აჩნევს. „ფრენა“ 5-6 წუთს გრძელდება. შემდეგ მეორე „გადაჯდომა“. ლადო კოლდანი მაფრთხილებს:

— ახლა იქნება ფრიალო ჭა. ფეხებით კედლებს ვეღარ შეეხები.

ეს რაღაც ახალია. მართლაც, ხუთიოდე მეტრზე ჩვეულებრივი „დიულფერით“ ვეშვები, შემდეგ კი უმწეოდ ვეკიდები ჰაერში. მოულოდნელობისგან მკვეთრად ვამუხრუჭებ. თანდათანობით გონს მოვდივარ და ვხვდები, რაც მოხდა. უბრალოდ, ჭა გაფართოვდა და მე ახლა ვგავარ კენჭს, რომელიც ძაფზეა ჩამოკიდებული და გრძელ კოლბაშია ჩაშვებული. საშიში არაფერია. ისევ ვუშვებ თოკს. საოცარი განცდაა: ზუსტად ისე ვეშვები, როგორც ობობა — ერთადერთ წვრილ თოკზე გამობმული. კისერს ვიგრძელებ და ქვევით ვიყურები. იქ, ფსკერზე, ნათურების ცეცხლი კიაფობს. ღმერთო, რა შორს არიან ისინი! 80 მეტრი მაინც იქნება! სინამდვილეში კი შახტის სიგრძე სულ 45 მეტრია: მე ოპტიკური შეცდომის მსხვერპლი გავხდი. ამ წყვდიადში მანძილი ჩვეულებრივზე მეტი ჩანს და ამას ხშირად შეცდომაში შეჰყავს ახალბედები.

ვეშვები ზუსტად ბიჭების თავებზე. პატარა მოედანზე დგანან კინოოპერატორი ენრიკო გერმესაშვილი, სპელეოლოგი არსენ ოქროჯანაშვილი და სინათლის ტექნიკოსი ჯემალ გრიქუროვი. არსენა ჩემი კარაბინიდან თოკს ხსნის. იგი სავსებით მშვიდია. სამაგიეროდ, ჯემალი და ენრიკო უკიდურესად აღელვებულნი არიან. მათი მშვენივრად მესმის. სულ რაღაც 15-ოდე წუთის წინ მათ იგივე განიცადეს, რაც მე.

უძირო ჭა არც ისე უძიროა. მისი სიღრმე 150 მეტრს არ აღემატება. „დიულფერით“ დაშვებისას გაწვრთნილი სპორტსმენისთვის ეს წვრილმანია. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ჩვენს ჯგუფში მხოლოდ 5 კაცია სპელეოლოგი, ათნი კი კინოჯგუფის წევრები არიან, რომლებმაც პირველად იგრძნეს ხელებში თოკი. ამას ემატება ორტონიანი ტვირთი — ელექტროკაბელი, სურსათი და იარაღები. ეს 2 ტონა სპელეოლოგებმა ჩამოუშვეს. შემდეგ თითო-თითოდ ჩამოგვსვეს ჩვენც. არ ვიტყოდი, რომ ეს იოლი სამუშაო იყო: ჩვენი ჯგუფი 26 საათის მანძილზე ეშვებოდა ფსკერისკენ. ეს დრო სრულიად შეუმჩნევლად გავიდა. როგორც შემდეგ დავრწმუნდი, მიწის ქვეშ დრო სრულიად სხვაგვარად მიედინება, ვიდრე ზევით.

ვ. ქაჯაია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ახალი ათონი.

• • •

სურათზე: სტალაგმიტების დარბაზის „თბილისის“ წინ.

ფოტო ავტორისა.

პირველი წრის ბოლო მატჩები

„ა“ ჯგუფი

„ა“ კლასის მეორე ჯგუფის I ქვეჯგუფში დამთავრდა წინასწარი თამაშების I წრის მატჩები. აი, ბოლო ტურის შედეგები: „მოლდოვა“ (კიშინიოვი) — „თერგი“ (გროზნო) 1:1, „ლოკომოტივი“ (ვინიცა) — „ენერგეტიკი“ (დუშანბე) 2:0, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 0:2, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 0:0, „ვოლგა“ (გორკი) — „სპარტაკი“ (გომელი) 0:1, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) 4:1.

გათამაშების ცხრილი

პირველი წრის შედეგები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	15	5	9	1	16—13	19
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	15	6	6	3	19—12	18
„ლოკომოტივი“ (ვინიცა)	15	4	9	2	14—9	17
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	15	5	7	3	13—9	17
„შახტიორი“ (ყარაგანდა)	15	4	8	3	11—9	16
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	15	5	6	4	9—8	16
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	15	5	6	4	15—17	16
„სტროიტელი“ (აშხაბადი)	15	5	5	5	17—18	15
„ენერგეტიკი“ (დუშანბე)	15	4	6	5	16—15	14
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	15	5	4	6	16—16	14
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	15	3	8	4	9—9	14
„თერგი“ (გროზნო)	15	4	6	5	14—16	14
„ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი)	15	4	5	6	17—21	13
„სპარტაკი“ (გომელი)	15	3	7	5	11—16	13
„ვოლგა“ (გორკი)	15	3	6	6	12—15	12
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	15	4	4	7	16—22	12

პედაგოგთა ამხანაგური...

განათლების მუშაკთა პროფკავშირის გორის კომიტეტმა „სპარტაკის“ საქალაქო საბჭოსთან ერთად მოაწყო ამხანაგური შეხვედრა კასპის რაიონის განათლების მუშაკებთან.

გორელებმა სამივე სახეობაში (ჭადრაკი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი) აჯობეს მეტოქეებს. მოჭადრაკეებმა ყველა დაფაზე გაიმარჯვეს. თავიანთი პარტიები კარგ სტილში დაამთავრეს შ. თოთლაძემ და ე. შერმადინმა.

ოთხ-ოთხი მონაწილე გამოდიოდა მაგიდის ჩოგბურთში. შეხვედრის ანგარიშია 3:1. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ვ. ამბროლაძემ და თ. ცერცვაძემ.

კარგი იქნება, თუ ორი მეზობელი ქალაქის პედაგოგთა ამხანაგური პაექრობა ტრადიციად გადაიქცევა.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

ძალოსანთა „მონოლოგები“

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში გუშინწინ მოსული მაყურებელი უჩვეულო სანახაობის მოწმე შეიქნა: ღია სცენას ამჯერად ამშვენებდა... ძალოსნური ფიცარნაგი. ამ თეატრის ისტორიაში ეს ალბათ პირველი შემთხვევაა, როცა მსახიობთა ნაცვლად სცენაზე სპორტსმენები გამოდიან. ჩვენი რესპუბლიკის ძალოსნებს ირანელი სპორტსმენები ეწვივნენ და თეატრის სცენის ასეთი სახეცვლილებაც სწორედ ამით იყო გამოწვეული.

ირანელმა ძალოსნებმა თბილისში ჩამოსვლამდე ერევანში წააგეს გუნდური შეხვედრა და ახლა, ბუნებრივია, შეეცდებოდნენ შელახული რეპუტაციის აღდგენას.

დასაწყისში სტუმრებს მართლაც ბედმა გაუღიმა, რადგან გუნდური შეჯიბრების სასწორი მათკენ გადაიხარა: ქართველ ძალოსნებს მჩატე წონაში არავინ გამოუყვანიათ და ირანელები დაწინაურდნენ. მ. ნასირმა საშუალო შედეგი დააგროვა სამჭიდში — 315 კგ (105+87,5+122,5). სამაგიეროდ, ირანელმა თავისი ქვეყნის რეკორდი დაამყარა აჭიმვაში (106 კგ) და ამით კარგი ტონი მისცა ასპარეზობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იყო პირველი და უკანასკნელი რეკორდი შეჯიბრებაში.

უკვე მომდევნო წონაში — ქვემსუბუქში — დ. შანიძემ წონასწორობა აღადგინა: ახლა უკვე ირანელებმა ვერ შეძლეს ათლეტის გამოყვანა. შანიძის შედეგია 345 კგ (110+100+135).

მაყურებლებმა, როგორც იქნა, იხილეს ორი ძალოსნის ჭიდილი. ეს მოხდა მსუბუქ წონაში, სადაც ერთმანეთს „შეებნენ“ ფ. ჯალაერი (ირანი) და რ. ოვანესიანი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი სუსტად გამოვიდა და პირველობა ირანელს დაუთმო. ჯალაერის შედეგია 370 კგ (115+112,5+142,5). ოვანესიანმა მასთან 30 კგ წააგო.

ქვესაშუალო წონაში საინტერესო ბრძოლა გაიმართა ირანელ მ. თეჰრანისა და ვ. სვინჩენკოს შორის. აჭიმვაში ირანელმა 2,5 კილოგრამით გაუსწრო მეტოქეს და ატაცში 7,5 კილოგრამის მოგებით კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა. აკვრაში ირანელი 145 კილოგრამს დაჯერდა. თეჰრანს რომ დასწეოდა, სვინჩენკოს აუცილებლად 155 კგ უნდა აეკრა. მან ეს შეძლო და აი, ორივე ათლეტს სამჭიდში 382,5 კგ დაუგროვდა, მაგრამ I ადგილი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს მიეკუთვნა, როგორც უფრო მჩატეს.

საშუალო წონაში მხოლოდ გ. კოჩიევი გამოვიდა. ალბათ ამიტომ მან თავისთვის დაბალი შედეგით დაამთავრა ასპარეზობა — 427,5 კგ (140+112,5 + 175).

ქვემძიმე წონაში გ. მიმინოშვილის უპირატესობა აშკარა იყო. მისი შედეგია 415 კგ (140+120+155). ირანელი მ. ამირი ქართველ ათლეტს 17,5 კილოგრამით ჩამორჩა.

მძიმე წონაში 3 სპორტსმენი ასპარეზობდა — ირანელი მ. ბრუმანდი და ჩვენები — ა. ჯეჯელავა და გ. სანიკიძე. აჭიმვისა და ატაცის შემდეგ ბრუმანდს 285 კგ ჰქონდა. ჯეჯელავა მას 2,5 კილოგრამით ჩამორჩებოდა, ხოლო სანიკიძე — 10-ით. აკვრაში მოულოდნელი 0 მიიღო სანიკიძემ და შეჯიბრებას გამოეთიშა. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა ჯეჯელავამ — 455 კგ (145+137,5+172,5). ბრუმანდის შედეგია 450 კგ.

ამრიგად, გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საქართველოს ძალოსნებმა — 5:2. ირანელი ძალოსნები ბაქოს გაემგზავრნენ, სადაც ადგილობრივ სპორტსმენებს შეხვდებიან.

ა. ცეხანელი.

* * *

სურათზე: მ. ნასირი (ირანი) ფიცარნაგზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

„სიკვდილთან თამაში“



„სიკვდილთან თამაში!“ ნაწილობრივ იგი სპორტული შეჯიბრების ხასიათს ატარებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ... აქ არიან მაღალი კლასის სპორტსმენები და მსოფლიოში სახელგანთქმული მანქანები. ამდენად, სანახაობა სპორტულია. სხვა მხრივ კი იგი თავზეხელაღებულ ადამიანთა თავგანწირვას უფრო ჰგავს და სწორედ ამიტომ მას „სიკვდილთან თამაშს“ უწოდებენ.

ამ შეჯიბრებათა მონაწილეებს, ცხადია, წმინდა სპორტული შედეგები არ აინტერესებთ. ყოველ უაზრო რისკს და სასოწარკვეთილ თავგანწირვას სოციალური საფუძველი აქვს, რომელიც მამაც ადამიანებს ახალი ხიფათისკენ მიერეკება.

„სიკვდილთან თამაშის“ მონაწილეთა მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი დოლარები გახლავთ, რომელთაც სასიკვდილო ექსპერიმენტის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში სპორტსმენი რომელიმე ფირმისგან ან კერძო მეპატრონისგან იღებს. მაგრამ კონტრაქტის პირობები მეტწილად არ სრულდება ერთ-ერთი მხარის (როგორც წესი, სპორტსმენის) ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

... ატრაქციონი კი გრძელდება, რადგან ამ ყოვლად უაზრო თამაშს ჰყავს ცხოვრებაზე ათასობით ხელჩაქნეული მსურველი.

პირველ და მეორე ფოტოს ბედნიერი გაგრძელება აქვს. მთავარი მოქმედი პირნი შედარებით „მშრალად ამოვიდნენ წყლიდან“. მართალია, ისინი ვერ მიიღებენ დანიშნულ დოლარებს, რადგან რბოლა ბოლომდე ვერ დაამთავრეს, მაგრამ მათი სიცოცხლე, თუ კი იგი რაიმეს ნიშნავს, გადარჩენილია.

დარჩენილ ორ ფოტოზე დრამა სულ სხვაგვარად ვითარდება. აქ არის სანახაობაც და მსხვერპლიც, ე. ი. მწვავე განცდების მოყვარულთათვის წყალიცა და ჰაერიც. დაღუპულ მძღოლთა და მათი ოჯახების ბედი არავის აინტერესებს, რადგან აღარ არის ადამიანი, რომელიც დანაპირებ ჯილდოს უნდა დაპატრონებოდა.

„სიკვდილთან თამაშს“ თავისი გმირებიც ჰყავს — ფორტუნა მათ ჯერჯერობით არ ღალატობს. გაზეთები პირველ გვერდზე ლია ფერებში აღწერენ მათს თავგადასავალს და ალბათ, ბევრი ვერ ამჩნევს, რომ იმავე გაზეთების იმავე ნომრებში, სადღაც მიგდებულ ადგილას უწვრილესი შრიფტით დაბეჭდილია რამდენიმე სტრიქონი მორიგი ბედისმაძიებლის დაღუპვის შესახებ.

მესამე ფოტოზე აღბეჭდილია უბედური შემთხვევა ინდიანოპოლისის (აშშ) შტატის ტრეკზე, ხოლო მეოთხე სურათზე — გამოჩენილი იტალიელი სპორტსმენის, 33 წლის ნორბერტო ბაგნალასტას დაღუპვის ამბავი.





მიზანი და 238 ათასი დოლარი

გაზეთი „ლა ეპოკა“, რომელიც მონტევიდეოში გამოდის, ათავსებს ცნობას, რომ იტალიის ჩემპიონმა — „ინტერნაციონალემ“ 300 ათას დოლარად შეიძინა გამოჩენილი ურუგვაელი თავდამსხმელი პ. როხა და გააკეთა ეს იტალიის ეროვნული ფედერაციის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად.

ამავე გაზეთის ცნობით, არგენტინელი ფორვარდი სანფილიპო, რომელიც დროებით თამაშობდა მონტევიდეოს „ნასიონალში“, ახლა ამ კლუბმა საბოლოოდ იყიდა. „ნასიონალმა“ სანფილიპოს ყოფილ კლუბ „ბოკა ხუნიორსს“ გადაუხადა 138 ათასი დოლარი. ამავე გუნდმა „ინდეპენდიენტეს“ თავდამსხმელ პროსპიტაში გადაუხადა 100 ათასი დოლარი.

ამ ორი „ვარსკვლავის“ ყიდვის შემდეგ „ნასიონალი“ აპირებს მომავალი წლიდან იბრძოლოს სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასისათვის.

[illegible]

რეკორდის საიდუმლოება

საახალწლო მძლეოსნური კროსის (კარაკასი, 1964 წელი) ტრასა ზოგიერთ ადგილას ბუჩქნარში გადიოდა. მსაჯები, გულშემატკივრები და რეპორტიორები გამარჯვებულს ფინიშზე ელოდებოდნენ. მაგრამ უცებ მათ წინ ტირილით, სარეკორდო დროში გაიქროლა ჩემპიონმა, გაწყვიტა ზონარი და ტემპის შეუნელებლად... განაგრძო სირბილი. თურმე შუა დისტანციაზე ერთ-ერთი ბუჩქიდან ჩემპიონს შეუტიეს... ბზიკებმა. „საპატიო ესკორტი“ გამარჯვებულს არც ფინიშის გადაკვეთის შემდეგ მოცილებია.

▲ **ბელგრადი.** ევროპული კრივის ფედერაციის ოფიციალური ნებართვით 27 და 29 ივნისს გაიმართება იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების საmatchო შეხვედრები. ეს შეჯიბრება საერთაშორისო ფედერაციის კალენდრითაა გათვალისწინებული და ამიტომ იგი ფედერაციის ოფიციალურ კლასიფიკაციაში შევა.

▲ **სტოკჰოლმი.** შვეციის გაზეთმა „იდროტსბლადეტმა“ გამოაქვეყნა საინტერესო სტატისტიკური ცნობა ფეხბურთის მატჩებზე მაყურებელთა დასწრების თაობაზე. მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით დასწრების ყველაზე მაღალი პროცენტი (ევროპაში) აქვს ჩრდილოეთ ირლანდიას. შემდეგ მოდიან: შვეიცარია, ლუქსემბურგი, შოტლანდია, შვეცია, ავსტრია, ჰოლანდია, ინგლისი, დანია, პორტუგალია, ფინეთი...

▲ **ლოზანა.** დამთავრდა შვეიცარიის 28-ე ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპის პოპულარული პროფესიული ველოსიპედისტები. პირველობისთვის ბრძოლა გაიმართა საფრანგეთის, ბელგიისა და იტალიის სპორტსმენთა შორის. გაიმარჯვა ახალგაზრდა იტალიელმა ფ. ბიტოსმა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ბ. გუტმანი: „საკმარისია 2 წელი...“

ლისაბონის „ბენფიკა“ ამჟამად ევროპისა და, შეიძლება, მსოფლიოს უძლიერესი საფეხბურთო კლუბია. ამ საყოველთაო აზრს არ უარყოფს თვით ე. ერერაც, რომლის გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში დაამარცხა „ბენფიკა“.

ახლა ამ კლუბის ხელმძღვანელობა შეიცვალა. ახალმა დირექტორატმა მყისვე გაუგზავნა გუნდის მწვრთნელს, უნგრელ ე. შვარცს ასეთი წერილი: „კლუბს არ სურს 1964 წლის 25 მაისს თქვენთან დადებული კონტრაქტის განახლება. საუკეთესო სურვილებით, „ბენფიკა“. კლუბის წარმომადგენლის განცხადებით, ხელმძღვანელობას შვარცის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, ვინაიდან გუნდმა მისი ხელქვეითობით დიდ წარმატებებს მიაღწია. როგორც გამოირკვა, „ბენფიკას“ მეცენატებს სურთ ცნობილი სპეციალისტის, წარსულში „ბენფიკას“ მწვრთნელის, უნგრელი ბ. გუტმანის მოწვევა.

საინტერესოა გუტმანის ბიოგრაფია. იგი ამჟამად 59 წლისაა. ომამდე წვრთნიდა იმ დროისთვის უნგრეთის უძლიერეს კლუბს — „კიშპეშტს“. პუშკაში, ბოჟიკი და სხვა მრავალი ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი მისი აღზრდილია. 1949 წლიდან გუტმანი სათავეში ედგა იტალიის „მილანს“, შემდეგ ურუგვაის „პენიაროლს“. ორივე ამ გუნდმა თავისი ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. პორტუგალიაში გუტმანმა ჩაიბარა ნაკლებად ცნობილი „ფკ პორტო“, რომელიც ბოლო ადგილზე იმყოფებოდა. 2 წლის შემდეგ „პორტომ“ ჩემპიონობა დაისაკუთრა.

გუტმანით დაინტერესდა „ბენფიკა“, მოიწვია იგი მწვრთნელად და ამ პოსტზე გუტმანმა თავისი კარიერის მწვერვალს მიაღწია. „ბენფიკამ“ მოიპოვა პორტუგალიის ჩემპიონობაც და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასიც. სწორედ გუტმანმა მიაქცია ყურადღება ახალგაზრდა მოზამბიკელ ეუსებიოს, რომელსაც დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. ერთ-ერთ ინტერვიუში გუტმანს თხოვეს მსოფლიოს ორი იდეალური შემადგენლობის დასახელება იმ ფეხბურთელთაგან, რომლებსაც იგი წვრთნიდა. აი, გუტმანის პირველი გუნდი: გროშიჩი (უნგრეთი), დე სორდი (ბრაზილია), რუდაში (უნგრეთი), ბოჟიკი (უნგრეთი), ჟერმანო (პორტუგალია), ლიდჰოლმი, სორენსენი (შვეცია), კუბალა (უნგრეთი), ნორდალი (შვეცია), პუშკაში (უნგრეთი), კაბოტეირა (ბრაზილია); მეორე გუნდი: პერეირა (პორტუგალია), მალდინი (იტალია), ანჟელო (პორტუგალია), დინო, მაურო (ბრაზილია), კავემი, აუგუსტო, ეუსებიო (პორტუგალია), ზიზინიო (ბრაზილია), კოლუნა, სიმოესი (პორტუგალია).

გუტმანის აზრით, მწვრთნელმა გუნდში ორ წელიწადზე მეტი არ უნდა დაჰყოს. პირველი წელი საკმარისია გუნდის შესასწავლად, მეორე — წარმატების მისაღწევად.

ზარშან ბ. გუტმანი ავსტრიის ნაკრებს წვრთნიდა და ახლაც იქ ცხოვრობს. პრესის ცნობით, იგი სულ მალე პორტუგალიას გაემგზავრება.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

რაგბი. „დინამოს“ სტადიონი. 23 ივნისი. რესპუბლიკის უძლიერესი გუნდების ამხანაგური შეხვედრა. **„დინამო“** (თბილისი) — **„განთიადი“** (თბილისი). დასაწყისი 19 ს.

პროფკავშირთა IV რესპუბლიკური სპარტაკიადა. კიროვის სახ. პარკი (ლენინის ქ. № 37). **კრივი.** 23-24 ივნისი. **ქართული ჭიდაობა.** 23-24 ივნისი. **ხელბურთი** (ქალები). 23-25 ივნისი. ველოსტადიონი (კამოს ქ. № 89). **ველოსპორტი** (ტრეკი). 24-26 ივნისი. „განთიადის“ საცურაო აუზი (300 არაგველის ქ. № 1). **ცურვა, წყალში ხტომა.** 24-26 ივნისი. დასაწყისი 10 ს. და 18 ს.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05580